



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1134/ს



14/07/2020

1134-11-4-202007141531

**სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით
გადმოცემული მერქნული რესურსის ფიჭვის ჯიშის II; III; IV ხარისხის მრგვალი
ხე-ტყე (მორი) –სულ 17.655 - მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული
აუქციონის (N359) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 11 მაისის დასკვნის N5002493520, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2019 წლის 19 აგვისტოს N18/22409 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, 2019 წლის 04 დეკემბრის N 18572 / 10 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2019 წლის 18 დეკემბრის N 19536 / 10 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2020 წლის 18 ივნისის N 8561 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N359 იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ თერჯოლის რ-ნი, სოფ. ნახშირდელე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადმოცემული მერქნული რესურსი 17.655 მ³ წიწვოვანი სახეობის (ფიჭვი II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლებამოსილებები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტო“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი